თუ რომელიმე ჯგუფი თავიანთ მეჯლისში ალლაჰის ხსენების გარეშე ადგება, ისინი ჰგვანან იმას, ვინც მკვდარი ვირის გვერდით იჯდა და ადგა. ეს მეჯლისი მათთვის სინანულის მიზეზი გახდება

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ რომელიმე ჯგუფი თავიანთ მეჯლისში ალლაჰის ხსენების გარეშე ადგება, ისინი ჰგვანან იმას, ვინც მკვდარი ვირის გვერდით იჯდა და ადგა. ეს მეჯლისი მათთვის სინანულის მიზეზი გახდება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ თუ ხალხი იკრიბება მეჯლისზე და იქიდან ალლაჰის ხსენების გარეშე დგებიან, მათი მდგომარეობა იმ ხალხს ჰგავს, ვინც შეიკრიბა მკვდარი ვირის გვამის ირგვლივ, რომელიც სავსეა სიბინძურითა და სუნით. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ალლაჰის ხსენების ნაცვლად სხვა საუბრებით იყვნენ დაკავებულნი. ასეთი შეკრება მათთვის სასოწარკვეთილებისა და დანაკლისის მიზეზი იქნება აღდგომის დღეს და მათზე მუდმივი სინანული დარჩება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3910